

დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ელ თი

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მოსაზრება	3
მოსაზრების საფუძველი.....	3
სხვა ინფორმაცია	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9
ძირითადი საქმიანობა	9
მომზადების საფუძვლები	9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	9
ფუნქციონირებადი საწარმო	9
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	10
ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
გაცემული სესხები	13
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
დამატებითი ღირებულების გადასახადი	14
მოგების გადასახადი	14
ძირითადი საშუალებები.....	14
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
საწესდებო კაპიტალი	15
დივიდენდები	16
შემოსავალი	16
ხარჯები	16
ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში	17
ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	24
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	25
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	25
საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა	26
ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ელ თი“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ელ თი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სხვა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. გარდა ქვემოთ ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა.

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმენა იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

23 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთა არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა)-საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

23 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს ელ თი
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	318 313 939	243 396 822
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(259 007 680)	(205 073 910)
მთლიანი მოგება		59 306 260	38 322 912
გაყიდვის ხარჯები	6	(3 938 253)	(5 148 619)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(6 847 228)	(4 882 372)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	8	167 746	1 374 037
სხვა საოპერაციო ხარჯები		(83 355)	(99 948)
საოპერაციო მოგება		48 605 169	29 566 009
ფინანსური შემოსავალი	9	1 478 795	79 174
ფინანსური ხარჯი		(34 380)	(1 764 036)
მოგება დაბერგვრამდე		50 049 584	27 881 147
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		50 049 584	27 881 147
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		50 049 584	27 881 147

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - შ. ციხელაშვილი

ფინანსური დირექტორი - გ. შარიფაშვილი


შპს ელ თი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	318 313 939	243 396 822
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(259 007 680)	(205 073 910)
მთლიანი მოგება		59 306 260	38 322 912
გაყიდვის ხარჯები	6	(3 938 253)	(5 148 619)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(6 847 228)	(4 882 372)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	8	167 746	1 374 037
სხვა საოპერაციო ხარჯები		(83 355)	(99 948)
საოპერაციო მოგება		48 605 169	29 566 009
ფინანსური შემოსავალი	9	1 478 795	79 174
ფინანსური ხარჯი		(34 380)	(1 764 036)
მოგება დაბეგრვამდე		50 049 584	27 881 147
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		50 049 584	27 881 147
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		50 049 584	27 881 147

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - შ. ციხელაშვილი




 ფინანსური დირექტორი - გ. შარიაშვილი

შპს ელ თი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	10	9 403 124	9 649 433
არამატერიალური აქტივები		274 238	221 568
გაცემული გრძელვადიანი სესხები	11	1 242 819	2 617 728
სულ გრძელვადიან აქტივები		10 920 182	12 488 729
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	6 150 487	4 429 877
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13	830 502	688 251
სხვა საგადასახადო აქტივი		168 370	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14	13 093 230	7 646 434
სულ მიმდინარე აქტივები		20 242 589	12 764 562
სულ აქტივები		31 162 771	25 253 291
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		308	308
გაუნაწილებელი მოგება		23 230 010	16 384 391
სულ კაპიტალი		23 230 317	16 384 698
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	7 932 453	8 662 689
გადახდილი გადასახადები		-	205 904
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7 932 453	8 868 593
სულ ვალდებულებები		7 932 453	8 868 593
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		31 162 771	25 253 291

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - შ. ციხელაშვილი

ფინანსური დირექტორი - გ. შარიფაშვილი


შპს ელ თი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	10	9 403 124	9 649 433
არამატერიალური აქტივები		274 238	221 568
გაცემული გრძელვადიანი სესხები	11	1 242 819	2 617 728
სულ გრძელვადიან აქტივები		10 920 182	12 488 729
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	6 150 487	4 429 877
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	13	830 502	688 251
სხვა საგადასახადო აქტივი		168 370	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14	13 093 230	7 646 434
სულ მიმდინარე აქტივები		20 242 589	12 764 562
სულ აქტივები		31 162 771	25 253 291
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		308	308
გაუნაწილებელი მოგება		23 230 010	16 384 391
სულ კაპიტალი		23 230 317	16 384 698
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	7 932 453	8 662 689
გადახდილი გადასახადები		-	205 904
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7 932 453	8 868 593
სულ ვალდებულებები		7 932 453	8 868 593
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		31 162 771	25 253 291

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - შ. ციხელაშვილი




 ფინანსური დირექტორი - გ. შარიფაშვილი

შპს ელ თი
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	308	8 631 279	8 631 587
მთლიანი სრული შემოსავალი	-	27 881 147	27 881 147
გამოცხადებული დივიდენდი	-	(20 128 035)	(20 128 035)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	308	16 384 391	16 384 698
მთლიანი სრული შემოსავალი	-	50 049 584	50 049 584
გამოცხადებული დივიდენდი	-	(43 203 965)	(43 203 965)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	308	23 230 010	23 230 317

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - მ. ციხელაშვილი

ფინანსური დირექტორი - გ. შარიფაშვილი

შპს ელ თი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	308	8 631 279	8 631 587
მთლიანი სრული შემოსავალი	-	27 881 147	27 881 147
გამოცხადებული დივიდენდი	-	(20 128 035)	(20 128 035)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	308	16 384 391	16 384 698
მთლიანი სრული შემოსავალი	-	50 049 584	50 049 584
გამოცხადებული დივიდენდი	-	(43 203 965)	(43 203 965)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	308	23 230 010	23 230 317

* 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - შ. ციხელაშვილი



ფინანსური დირექტორი - გ. მარიუაშვილი

შპს ელ თი
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		50 049 584	27 881 147
კორექტირება:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	10	557 684	627 221
არამატერიალური აქტივების ცვეთა		74 126	31 745
საპროცენტო ხარჯი		-	1 331 188
დარიცხული პროცენტი	9; 11	(62 027)	(35 661)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	11	(955 143)	432 848
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		49 664 223	30 268 488
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(129 893)	(469 724)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(1 720 610)	(1 582 729)
ცვლილებები გადასახადებში		(374 274)	103 749
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		(341 724)	5 061 613
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		47 097 721	33 381 398
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების მიღება	10	(421 100)	(160 176)
ძირითადი საშუალების გასვლა	10	109 725	-
არამატერიალური აქტივების მიღება		(126 796)	(33 500)
გაცემული სესხები	11	(1 148 328)	(3 115 088)
გაცემული სესხების დაფარვა	11	2 559 211	565 870
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		972 713	(2 742 894)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება		-	26 199 515
ნასესხები სახსრების დაფარვა		-	(28 235 137)
გადახდილი პროცენტი		-	(1 549 269)
გადახდილი დივიდენდები		(43 203 965)	(20 128 035)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(43 203 965)	(23 712 926)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		580 327	47 532
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება		5 446 796	6 973 110
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში		7 646 434	673 324
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს		13 093 230	7 646 434

* 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:


დირექტორი - შ. ციხელაშვილი

ფინანსური დირექტორი - გ. მარიფაშვილი

შპს ელ თი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		50 049 584	27 881 147
კორექტირება:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	10	557 684	627 221
არამატერიალური აქტივების ცვეთა		74 126	31 745
საპროცენტო ხარჯი		-	1 331 188
დარიცხული პროცენტი	9; 11	(62 027)	(35 661)
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	11	(955 143)	432 848
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		49 664 223	30 268 488
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(129 893)	(469 724)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(1 720 610)	(1 582 729)
ცვლილებები გადასახადებში		(374 274)	103 749
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		(341 724)	5 061 613
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		47 097 721	33 381 398
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების მიღება	10	(421 100)	(160 176)
ძირითადი საშუალების გასვლა	10	109 725	-
არამატერიალური აქტივების მიღება		(126 796)	(33 500)
გაცემული სესხები	11	(1 148 328)	(3 115 088)
გაცემული სესხების დაფარვა	11	2 559 211	565 870
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		972 713	(2 742 894)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება		-	26 199 515
ნასესხები სახსრების დაფარვა		-	(28 235 137)
გადახდილი პროცენტი		-	(1 549 269)
გადახდილი დივიდენდები		(43 203 965)	(20 128 035)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(43 203 965)	(23 712 926)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		580 327	47 532
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება		5 446 796	6 973 110
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში		7 646 434	673 324
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს		13 093 230	7 646 434

* 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 23 სექტემბრის შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - შ. ციხელაშვილი




 ფინანსური დირექტორი - გ. შარიაშვილი

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ელ თი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2017 წლის 25 აპრილს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N160. კომპანიის დამფუძნებელი და 100 წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სარდა საქართველო, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია რაუფ ხალილოვი X4980653 (შვიცარია). კომპანიის დირექტორს წარმოადგენს შალვა ციხელაშვილი.

ორგანიზაცია დაფუძნებულია 2017 წელს, მაგრამ ბაზარზე ოპერირება და ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2018 წლის აგვისტოდან. ორგანიზაცია წარმოადგენს საქართველოში ლექსუსის ოფიციალურ დილერს და ახორციელებს ბრენდის ავტომობილების, სათადარიგო ნაწილების და მასთან დაკავშირებული მომსახურების რეალიზაციას.

მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-3 შენიშვნაშია განხილული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორც ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება ამ მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით (გარიგების პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით, თუ ამგვარს ადგილი აქვს) და შემდგომში წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მოლოდ მიზრით თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, თუ კი არსებობს იმის ალბათობა რომ კომპანიის მოთხოვნები შესაძლოა გაუფასურდეს. ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია ისე მართავს მოთხოვნებს რომ საკრედიტო ზარალები ჯერ არ დამდგარა.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამომშვდასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულსა და ფულის ეკვივალენტებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არიან ისეთი ერთეულები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადი უკვე განსაზღვრული თანხის ფულად ერთეულებად და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

შპს ელ თი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწერავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც საწარმო ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწერა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

შპს ელ თი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს შესაბამის კორექტირებას და ასახვას.

გაცემული სესხები

საწარმო ფინანსურ აქტივებს აღიარებს ამორტიზირებული ღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით, გარდა არა კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე და მათი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშო პერიოდში გაცემული სესხები მოიცავს დაკავშირებულ მხარეებზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში გაცემულ სესხებსა და შესაბამის დარიცხულ პროცენტებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე და თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმის, რომ ბალანსზე რიცხვული მარაგების ღირებულება გაუფასურებულია ხდება მათი კორექტირება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლების გზით.

ზოგადად, ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო პერიოდსა და სასიცოცხლო ვადას შორის უმოკლესი პერიოდით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გონივრულად მოსალოდნელია რომ კომპანია იჯარის ვადის ბოლოსთვის აქტივზე მფლობელობას მოიპოვებს.

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის იყო შემდეგი:

- შენობა-ნაგებობები - 20 წელი
- მანქანა დანადგარები - 5 წელი
- ავეჯი და ინვენტარი - 7 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა - 6 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები - 5-20 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არამატერიალური აქტივები მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფებს.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღიარებულია თვითღირებულებით და არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლივიდენდები

ლივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული ლივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი ნაწილი მოიცავს ავტომობილების რეალიზაციიდან და მის ტექ მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებს. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ როდესაც დაკმაყოფილებულია მასთან დაკავშირებული ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა.

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

კომპანიის მიერ საგარანტიო მომსახურების ფარგლებში გაწეული მომსახურება ანაზღაურებადია მწარმოებელი ქარხნის მიერ, ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი მომსახურებით გაწეული შემოსავალი და ხარჯი ელიმინირებულია და წარდგენილია შესაბამისად.

ხარჯები

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. ასევე გაწეული სერვისის პირდაპირ ხარჯებს, რომელიც მოიცავს ხელფასების და სხვა მომსახურების ხარჯებს.

გაყიდვების ხარჯები

გაყიდვების ხარჯები მოიცავს გაყიდვებთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი, საწვავის და ხელფასის ხარჯი.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოეშენება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსურ შემოსავლებში შედის:

- საპროცენტო შემოსავლები გაცემული სესხებიდან;
- საკურსო ცვლილებით წარმოშობილი მოგება სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;

კომპანიის ფინანსურ ხარჯებში შედის:

- გარანტიებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯები;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციამია, თუ წმინდა ზარალის.

სესხით სარგებლობის დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, მშენებლობას და წარმოებას აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3. ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიწოდების ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის შეფასებით ცვლილებებს არ აქვს გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა

ძალაში სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 4 - შემოსავალი რეალიზაციიდან	2024	2023
შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან	310 942 699	237 207 753
შემოსავალი სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან	4 856 375	4 090 458
სხვა შემოსავლები რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	2 514 866	2 098 611
შემოსავალი რეალიზაციიდან	318 313 939	243 396 822

2024 წლის განმავლობაში საქონლის გადაცემა მოხდა დროის გარკვეულ მომენტში, ხოლო მომსახურების გაწევა - დროის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდში კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო დებიტორული დავალიანება 617 383 ლარის ოდენობით.

შენიშვნა 5 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2024	2023
ავტომობილების ღირებულება	255 316 936	201 959 237
სათადარიგო ნაწილების ხარჯები	3 193 110	2 609 991
სამეურნეო ხარჯები	156 422	164 141
თვითღირებულების სხვა ხარჯები	341 212	340 540
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	259 007 680	205 073 910

შენიშვნა 6 - გაყიდვების ხარჯები	2024	2023
რეკლამის და მარკეტინგული მომსახურების ხარჯები	399 866	575 607
მიწოდებასთან დაკავშირებული ხელფასის ხარჯები	3 499 373	4 526 988
საწვავის ხარჯები	31 372	38 167
მიწოდების სხვა ხარჯები	7 641	7 857
სულ გაყიდვების ხარჯები	3 938 253	5 148 619

შენიშვნა 7 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
სახელფასო ხარჯები	4 965 058	2 955 272
ცვთა და ამორტიზაციის ხარჯები	635 592	658 966
საგადასახადო ხარჯები	205 297	240 312
კომუნალური ხარჯები	130 312	173 437
საპენსიო ხარჯები	166 940	152 777
IT მომსახურების ხარჯები	100 561	58 695
სადაზღვევო ხარჯები	66 884	59 549
მივლინების ხარჯები	87 270	43 588
აუდიტის და საკონსულტაციო ხარჯები	13 547	33 968
კომუნიკაციის ხარჯები	22 571	23 383
სხვა საერთო ხარჯები	453 198	482 424
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6 847 228	4 882 372

შპს ელ თი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 8 - სხვა საოპერაციო შემოსავლები	2024	2023
შემოსავალი ძირ. საშუალების რეალიზაციიდან	-	1 016 291
სხვა შემოსულობები	167 746	357 745
სულ სხვა საოპერაციო შემოსავლები	167 746	1 374 037

შენიშვნა 9 - ფინანსური შემოსავალი	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან	62 027	35 661
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებიდან	461 624	43 513
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსავალი	955 143	-
სულ ფინანსური შემოსავალი	1 478 795	79 174

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 10 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობა	ავჯი და ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	მანქანა- დანადგარები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
საწყისი ღირებულება								
თვითღირებულება	4 580 810	5 000	5 981 738	394 039	468 911	971 868	759 892	13 162 257
ცვეთა	-	-	(1 308 212)	(279 190)	(328 278)	(481 568)	(648 531)	(3 045 778)
ბალანსი 31/12/2022	4 580 810	5 000	4 673 526	114 849	140 633	490 300	111 361	10 116 479
დანამატები								
აქტივების ჩამოწერა	29 408	7 051	-	4 322	93 449	4 515	21 430	160 176
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	-	-	(14 763)	-	-	(14 763)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	(299 919)	(58 641)	(83 110)	(108 154)	(77 397)	(627 221)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	14 763	-	-	14 763
ბალანსი 31/12/2023	4 610 218	12 051	4 373 607	60 531	150 972	386 660	55 395	9 649 433
დანამატები								
აქტივების ჩამოწერა	96 900	84 849	-	14 460	80 213	5 893	138 785	421 100
ცვეთა პერიოდისათვის	-	(96 900)	-	-	(12 352)	-	(12 825)	(122 077)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	(299 919)	(31 248)	(86 481)	(100 627)	(39 409)	(557 684)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	12 352	-	-	12 352
ბალანსი 31/12/2024	4 707 118	-	4 073 687	43 743	144 704	291 927	141 946	9 403 124
ბალანსი 31/12/2023	4 610 218	12 051	4 373 607	60 531	150 972	386 660	55 395	9 649 433
ბალანსი 31/12/2024	4 707 118	-	4 073 687	43 743	144 704	291 927	141 946	9 403 124

*2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში ექსპლუატაციაში მყოფი და სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 1 335 840 ლარს.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 11 - გაცემული გრძელვადიანი სესხები	31.12.2024	31.12.2023
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებზე გაცემული სესხები	1 145 131	2 582 068
მისაღები პროცენტები	97 688	35 661
სულ გაცემული გრძელვადიანი სესხები	1 242 819	2 617 728

გაცემულ სესხებზე და მასზე ღარიცხულ პროცენტებზე 2024 და 2023 წლების საანგარიშო პერიოდების შესაბამისად მოძრაობა იყო:

	2024	2023
1 იანვარს	2 617 728	-
გაცემული სესხები	1 148 328	3 115 088
გაცემული სესხების დაფარვა	(2 559 211)	(565 870)
მიღებული პროცენტი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	62 027	35 661
საკურსო სხვაობა	(26 053)	32 849
სულ გაცემული სესხები	1 242 819	2 617 728

შენიშვნა 12 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2024	31.12.2023
აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები	836 455	770 787
ავტომობილები	5 202 945	3 521 689
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	111 087	137 402
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6 150 487	4 429 877

შენიშვნა 13 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	617 383	445 539
მომწოდებლებთან გადახდილი ავანსები	213 119	242 712
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	830 502	688 251

შენიშვნა 14 - ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	1 367 965	1 558 669
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	11 094 602	6 084 905
ფული გზაში	628 000	-
ნაღდი ფული სალაროში	2 663	2 860
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	13 093 230	7 646 434

შენიშვნა 15 - სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1 156 817	2 728 282
მიღებული ავანსები	6 506 767	5 154 544
გასაცემი ხელფასები	268 869	779 862
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	7 932 453	8 662 689

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მასსიათებლები.

კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: სახელშეკრულებო პირობები მათთან ანგარიშსწორების მონიტორინგისათვის, კომპანიის გამოცდილება და პრაქტიკა თითოეულ კონტრაგენტთან ანგარიშსწორების პირობებზე, მიწოდებული მომსახურების და საქონლის შინაარსი და სხვა. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე რეალიზაციაზე თანხის ანაზღაურება ძირითადად ხორციელდება წინასწარ, რაც ამცირებს ოპერაციებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკებს.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში:

	31.12.2024	31.12.2023
გაცემული სესხები	1 242 819	2 617 728
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	830 502	688 251
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13 093 230	7 646 434
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	15 166 551	10 952 414

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს დაუფარავი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და ვადაგადაცილებულ ნაშთებს. კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი რაოდენობით კერძო და იურიდიულ პირ მომხმარებლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი ფინანსურ ანგარიშგებებში რაც განპირობებულია ბიზნესის და მართვის სპეციფიკით.

გაცემული სესხები

კომპანიას აქვს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებთან გაცემული სესხები. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ დანაკარგის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, სადაც ანაბრები აქვს განთავსებული. საკრედიტო რისკი ფულად სახსრებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები არიან დადებითი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკები.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები.

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	31 დეკემბერი 2024 სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,156,817	-	-	-	1,156,817
გადასახდელი ხელფასები	268,869	-	-	-	268,869
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,425,686	-	-	-	1,425,686

	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	31 დეკემბერი 2023 სულ
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,728,282	-	-	-	2,728,282
გადასახდელი ხელფასები	779,862	-	-	-	779,862
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,508,145	-	-	-	3,508,145

კაპიტალის რისკი

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემითა და კაპიტალის ზრდით.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია უცხოურ ვალუტაში ახორციელებს მარაგების შესყიდვას და შემდგომ მათ რეალიზაციას უცხოური ვალუტის შესაბამისი გაცვლითი კურსით ლარში, რის გამოც საოპერაციო გარემოს ვალუტის კურსის ცვლილება არსებით რისკებს არ უქმნის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
აშშ დოლარი	11 238 033	(1 034 707)	10 203 326	3 951 013	(2 616 886)	1 334 126
ევრო	922 641	(0)	922 641	965 663	-	965 663

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის აქტივების არსებითი ნაწილი წარმოქმნილია უცხოურ ვალუტაში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული თანხების ძირითადი ნაწილი განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე სავალუტო რისკები არ არის მაღალი.

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

	2024	2023
	გავლენა-მოგება ზარალზე	გავლენა-მოგება ზარალზე
აშშ დოლარის 20%-იანი გამყარება	2 040 665	266 825
აშშ დოლარის 20%-იანი გაუფასურება	(2 040 665)	(266 825)
ევროს 20%-იანი გამყარება	184 528	193 133
ევროს 20%-იანი გაუფასურება	(184 528)	(193 133)

17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების, აგრეთვე, იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების, სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

18. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტიორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები:	2024	2023	ურთიერთობის სახე
გაცემული სესხები	1 145 131	2 582 068	სკდს
მისაღები პროცენტები	-	35 661	სკდს
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	44 948	-	სკდს
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	166 026	-	სკდს

შპს ელ თი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:	2024	2023	ურთიერთობის სახე
მარაგების შეძენა	24 343	1 540	სკდს
გაწეული მომსახურებები/მიწოდებული მარაგები	648 756	33 587 438	სკდს
სესხის გაცემა	1 148 328	3 115 088	სკდს
გაცემული სესხის დაბრუნება	2 559 211	565 870	სკდს
მომსახურების შეძენა	66 455	-	სკდს
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	33 575 247	სკდს

დარიცხული ანაზღაურება	2024	2023
მენეჯმენტის ანაზღაურება	4 673 833	4 581 563

(*) სკდს - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

20. საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები აჩვენებს, რომ გასული პერიოდების მსგავსად კომპანია ინარჩუნებს შემოსავლებისა და საოპერაციო მოგების ზრდის ტენდენციას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არ ირიცხება სასესხო ვალდებულებები, ხოლო ფულადი სახსრები და გაცემული სესხები ჯამში 14 336 049 ლარია. ამას გარდა საწარმოს 2024 წლის ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დადებითია და შეადგენს 47 097 721. მოცემული ფაქტების გათვალისწინებით ანუღირდება კომპანიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ეჭვები, შესაბამისად ზემოთ აღწერილი ყველა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

21. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

მმართველობითი ანგარიში

ზოგადი ინფორმაცია

შპს ელ თი დაფუძნდა 2017 წლის 25 აპრილს, როგორც დამოუკიდებლად მოქმედი კომპანია. 2023 წლის დეკემბერში კომპანია შევიდა ჰოლდინგური მმართველობის ქვეშ, რომელსაც ხელმძღვანელობს შპს სარდა საქართველო. ჰოლდინგის 100%-იანი წილის მფლობელია შვეიცარიის მოქალაქე რაუფ ხალილოვი. შპს ელ თი-ს მმართველობითი ორგანო წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს სახით, რომლის სათავეშია რაუფ ხალილოვი, დირექტორი - საქართველოს მოქალაქე შალვა ციხელაშვილი, წევრები - საქართველოს მოქალაქე ნატო ბუქსიანიძე და იაპონიის მოქალაქე აკიჰისა ვატანაბე. შპს ელ თი წარმოადგენს შპს ტოიოტა კავკასიის ოფიციალურ სადილეროს საქართველოში და სარგებლობს ლექსუსის ბრენდის ავტომობილების რეალიზაციის ექსკლუზიური უფლებით. კომპანია საავტომობილო ბაზარზე წარმოდგენილია „ლექსუს თბილისის“ საფირმო სახელწოდებით. მისი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: აღმაშენებლის ხეივანი N160, 0131, თბილისი, საქართველო.

ავტორიზებული სადილეროსთვის მინიჭებული უფლებით ლექსუს თბილისის საქმიანობა მოიცავს ლექსუსის ბრენდის ავტომობილების, ლექსუსის და ტოიოტას ბრენდის ორიგინალი აქსესუარებისა და სათადარიგო ნაწილების რეალიზაციას და ავტო მომსახურების გაწევას. ლექსუს თბილისის ცენტრი მომხმარებლებს სთავაზობს კროსოვერებს, სედანებს, მაღალი გამავლობის ავტომობილებს, მინივენებს და სპორტულ კუპებს. 5 მოდელი ჰიბრიდული ვერსიითაც არის ხელმისაწვდომი. ცენტრის ტერიტორიაზე ასევე განლაგებულია ლექსუსის ავტორიზებული სერვის-ცენტრი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური დანადგარებით.

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს ელ თი, როგორც ტოიოტას ოჯახის წარმომადგენელი, მოქმედებს Toyota Way ფილოსოფიის პრინციპით, რომლის სრულად არის დაფუძნებული კაიზენის მიდგომაზე. კაიზენი გულისხმობს მუდმივ სწრაფვას განვითარებისკენ. კომპანიის მიზანია როგორც პროცესების დახვეწის შედეგად საოპერაციო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება, ასევე ადამიანური პრინციპების მხარდაჭერა და გუნდში პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნება. იმისათვის, რომ ლექსუს თბილისში დასაქმებულები იზიარებდნენ ბრენდის ფილოსოფიას, ყველა თანამშრომელს უტარდება საბაზისო ტრენინგები, სადაც ისინი ეცნობიან ტოიოტას და ლექსუსის ისტორიას, ფუნდამენტურ პრინციპებს და უზიარებიათ იმ მთავარ კომპონენტებს, რომელიც ქმნის ბრენდის ხარისხს და იწვევს მომხმარებლებში ნდობას. სწორედ კვალიფიციური თანამშრომლები ქმნიან იმ გუნდს, რომელიც განაპირობებს ლექსუს თბილისის წინსვლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. კომპანიაში კადრების მოტივირებისთვის დანერგილია კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების პრაქტიკა და ასევე სხვადასხვაგვარი გასვლითი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება როგორც ადამიანების განწყობის ამაღლებას, ასევე სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით აქტივობებში ჩართვას.

ბიზნეს პროცესების ეფექტური მართვა პირდაპირ არის დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებასთან და შემოსავლების ზრდასთან. კომპანია სრულად იზიარებს ლექსუსის ბრენდის ფილოსოფიას, რომელიც „ომოტენაში“-ს ანუ იაპონური სტუმართმოყვარეობის ტრადიციაზეა დაფუძნებული. მომხმარებელთან ურთიერთობა სტუმართან ურთიერთობის ანალოგიურია, როდესაც წინასწარ ხდება მისი საჭიროებების განჭვრეტა, მომსახურების გაწევისას ყველა დეტალისადმი ყურადღება და გულწრფელი მადლიერების გამოხატვა მასპინძლის მხრიდან. მომსახურების სტანდარტი, გაყიდვების და გაყიდვების შემდგომი მომსახურების ხარისხი, სადილეროს ვიზუალური და ტექნიკური მდგომარეობა - ეს ის ფაქტორებია, რომლებიც წელიწადში 4-ჯერ გადის შიდა აუდიტს. თავისი არსებობის 7 წლიან ისტორიაში ლექსუს თბილისი ყოველ წელს ფასდება 5 ვარსკვლავით (ლექსუს ევროპის მიერ მომხმარებლების გამოკითხვით და მომსახურების ხარისხით), ხოლო 4-ჯერ დასახელდა მთელი ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლობად და მიენიჭა KIWAMI-ის ჯილდო.

ლექსუს თბილისის სარგებლობს დადებითი რეპუტაციით მომწოდებლებთან, მომხმარებლებთან, საბანკო ინსტიტუტებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორია კომპანიას განიხილავს, როგორც სანდო პარტნიორს, რაც ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისთვის ფუნდამენტური პირობაა.

მნიშვნელოვანია საგადასახადო ორგანოსთან დადებითი თანამშრომლობის გამოცდილება, რომელიც არსებობის 7 წლის მანძილზე გამოვლინდა. კომპანიას არ უფიქსირდება არანაირი დავა.

კომპანიის ფინანსურ რესურსებს ქმნის საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც წლიდან წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეს ეხება არა მარტო ავტომობილების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს, არამედ სათადარიგო ნაწილების და ავტომომსახურების ბრუნვასაც. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია გაყიდული ავტომობილი რაც შეიძლება დიდხანს მომართავდეს ჩვენზე ავტოსერვისს, რათა ნაწილების, ხელობის და აქსესუარების ბრუნვით ხელი შეეწყოს ავტოსფეროსთვის წამყვანი ფინანსური მაჩვენებლის Absorption Ratio-ს გაუმჯობესებას. ეს მაჩვენებელი ასახავს კომპანიის უნარს დააფინანსოს მიმდინარე საოპერაციო ხარჯები ავტომობილების გარდა მიღებული შემოსავლიდან. მომხმარებლების შენარჩუნებას ხელს უწყობს 2022 წლიდან ამუშავებული პროდუქტი „Lexus 10“, რომელიც გულისხმობს მწარმოებლის ოფიციალური საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდგომ ლექსუსის ავტომობილებზე გარანტიის დაფარვის გავრცელებას მომდევნო ტექნიკურ მომსახურებამდე (რომელიც დადგება 1 წელიწადში ან 10,000 კმ გარბენის დაგროვების დროს), ჯამურად 10 წლამდე პერიოდზე ან 170 000 კმ გარბენამდე. გარანტიის შესანარჩუნებელი აუცილებელი პირობა არის ავტომობილის ყველა ტექნიკური მომსახურების ჩატარება ოფიციალურ დილერთან (საქართველოს შემთხვევაში ლექსუს თბილისის სერვის ცენტრში). გარდა ახალი ავტომობილებისა, ლექსუს თბილისი ტოიოტა კავკასიის მეშვეობით მომხმარებლებს სთავაზობს მეორადი ავტომობილების გარანტიის პირობას სადილეროდან შეძენილ მეორად ავტომობილებზეც.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

შპს ელ თი-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (IFRS for SMEs) შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესის შესაბამისად. კომპანია ახორციელებს ლექსუსის ბრენდის ავტომობილების, სათადარიგო ნაწილების, აქსესუარების და ავტო მომსახურების რეალიზაციას.

რეალიზაცია:

შემოსავლის აღიარება კომპანიაში ხდება საქონლის/მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის მომენტში წინასწარ შეთანხმებული ღირებულების სანაცვლოდ.

კომპანიის საქმიანობის შედეგების მთავარი მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	318 313 939 ლ	243 396 822 ლ
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	259 007 680 ლ	205 073 910 ლ
მთლიანი მოგების მარჟა	19%	16%
წმინდა მოგების მარჟა	16%	11%
სულ აქტივები	31 138 340 ლ	25 253 291 ლ
სულ კაპიტალი	23 213 282 ლ	16 384 698 ლ

2023 წელთან შედარებით რეალიზაციის მკვეთრი მატება განპირობებული იყო რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე რუსეთზე დაწესებული სანქციებით. ავტომობილები, რომლებიც რუსეთის ბაზრისთვის იყო განკუთვნილი, გამოთავისუფლდა და ამიერკავკასიის ბაზრებზე გადანაწილდა. მარაგების მზარდი დინამიკა დაიწყო 2023 წლიდან და რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწია 2024 წლის განმავლობაში. შედეგად მივიღეთ ავტომობილების დიდი ნაკადი, რომლითაც თავისუფლად შეგვეძლო დაგვეკმაყოფილებინა მუდმივად მზარდი მოთხოვნა. რეალიზაციის ზრდას ასევე ყოველთვის ხელს უწყობს არსებული სამოდელო ხაზის განახლება. 2024 წელს საქართველოს მომხმარებლებს შევთავაზეთ 2 ახალი მოდელი, რომელთა ოფიციალური პრეზენტაცია 2023 წლის დასასრულს შედგა. ესენია: სრულიად განახლებული და გაცილებით აგრესიული Lexus GX550 და პრემიუმ კლასის სრულიად ახალი Lexus LM. რეალიზაციის ჩაშლა მოდელების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

<u>მოდელი</u>	<u>2024</u>	<u>2023</u>
LX	219 660 603 ლ	127 208 442 ლ
RX	28 385 943 ლ	60 058 062 ლ
GX	21 932 731 ლ	13 189 479 ლ
LM	19 099 061 ლ	- ლ
NX	9 361 573 ლ	17 917 599 ლ
ES	4 281 284 ლ	2 914 438 ლ
UX	2 615 450 ლ	737 517 ლ
LS	351 413 ლ	1 234 333 ლ
LC	302 169 ლ	- ლ

აქტივები:

აქტივების მნიშვნელოვნად მატება გასულ წელთან შედარებით განპირობებული იყო შემდეგი მუხლებით:

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები - გაზრდილი რეალიზაციის და ასევე წინასწარი შეკვეთებით მიღებული ავანსების კვალდაკვალ გაიზარდა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები;

სასაქონლო-მატერიალური მარაგი - წინა წელთან შედარებით გაიზარდა სათადარიგო ნაწილების სასაქონლო ნაშთი, რაც განპირობებული იყო გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შეძენილი საქონლით. მკვეთრი ზრდა განიცადა ავტომობილების მარაგმა, ვინაიდან რუსეთიდან გამოთავისუფლებული ავტომობილების ხარჯზე შესაძლებლობა მოგვეცა მეტი შეგვეკვეთა და დაგვესაწყობებინა არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად;

გაცემული სესხები - ამ ტიპის აქტივი 2023 წელს პირველად გაჩნდა ელ თი-ს საბალანსო უწყისში. სესხები გაცემულია საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაზე, რომელიც ელ თი-ს მსგავსად, სარდა საქართველოს ჰოლდინგში არის გაერთიანებული და ესტონური მოდელის თანახმად აღრიცხავს ბუღალტერიას. გასულ წელთან შედარებით გაცემული სესხის ნაშთი განახევრებულია.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება - გაზრდილი რეალიზაციის შედეგად იმატა სავაჭრო მოთხოვნებმაც, რაც უმეტესად კომპანიაზე გაწეული მომსახურებით წარმოქმნილი დავალიანებით არის ფორმირებული. კომპანიაში მუდმივად ხდება დებიტორული დავალიანების მონიტორინგი, კონტროლდება დავალიანების ვადიანობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვადაგადაცილებული ან ამოუღებელი თანხების არსებობა.

ძირითადი საშუალებები კომპანიაში აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და იმ დამატებით ხარჯებს, რაც საჭიროა აქტივის მისაყვანად სამუშაო მდგომარეობამდე. საბალანსო უწყისში ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებას გამოკლებული დარიცხული ცვეთა. მცირე სარემონტო ხარჯები, რაც საჭიროა ძირითადი საშუალების შესაკეთებლად აღირიცხება პერიოდის ხარჯად, ხოლო ისეთი ხარჯები, რომელიც აუცილებელია აქტივის არსებობისთვის და უზრუნველყოფს მისგან შემდგომ პერიოდში ეკონომიკური სარგებლის მიღებას, კაპიტალიზდება და ემატება აქტივის ღირებულებას. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად კომპანია იყენებს წრფივი დარიცხვის მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების თანაბარ განაწილებას მისი სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში ნულოვანი ნარჩენი ღირებულების გათვალისწინებით. ძირითადი საშუალებები სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20 წელი
დანადგარები	5-10 წელი
ავეჯი	3-7 წელი
ინსტრუმენტები	3-5 წელი
ტექნიკა	3-5 წელი
სხვა	2-7 წელი

კომპანიის ბალანსზე არსებული არამატერიალური აქტივები მოიცავს როგორც პროგრამულ უზრუნველყოფებს, ასევე კომპიუტერულ ლიცენზიებს. ლიცენზიებიდან უმრავლესობას გააჩნია წინასწარ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა (1-დან 3 წლამდე), ამიტომ მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, შესაბამის პერიოდზე ყოველთვიურად პროპორციული თანხის მიკუთვნებით. ანალოგიური მიდგომა გვაქვს პროგრამულ უზრუნველყოფებთან მიმართებაში, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა 15 წლით განისაზღვრება. პროგრამული უზრუნველყოფის შემთხვევაში ხდება არამატერიალური აქტივის შემოწმება გაუფასურებაზე ან შესაძლო ფაქტორებზე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს აქტივიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

როგორც ძირითადი საშუალებების ცვეთა, ასევე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი აღირიცხება მოგება-ზარალის საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

კაპიტალი:

კაპიტალის ცვლილება გამოწვეული იყო ორი მთავარი მოვლენით: რეალიზაციის ზრდა და კომპანიის გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადების და გაცემის თაობაზე. 2024 წლის განმავლობაში ელ თი-ს დამფუძნებელ კომპანია სარდა საქართველოზე გაიცა 43 203 965.00 ლარი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სავალუტო რისკი

კომპანიის სააღრიცხვო ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება ხდება მიღებული/გადახდილი ავანსებისა და ოპერაციის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ვალდებულებებისა და მოთხოვნების გადაფასება ხდება ყოველთვიურად, თვის ბოლოს სებ-ის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. სავალუტო მუხლების გადაფასების შედეგები ასახულია მოგება-ზარალის უწყისში, სხვა შემოსავლების და ხარჯების უწყისის ნაწილში. ვინაიდან კომპანიას ბალანსზე აღერიცხება ვალუტაში დაფიქსირებული კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები, საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი ნაშთები, არსებობს რისკი, რომ გაცვლითი კურსის რყევები გავლენას იქონიებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საოპერაციო ფულის ნაკადზე. რისკის მაქსიმალურად შესამცირებლად ავტომობილების მოწოდების და რეალიზაციის ციკლი ისეა აწყობილი, რომ პროცესი დროის ახლო ინტერვალში ვითარდებოდეს და შეკვეთის ღირებულების უმეტესი ნაწილის მიღება უშუალოდ პროდუქტის მიწოდების წინ ხდებოდეს.

საბაზრო რისკი

საქართველოს ბაზარი, რომელიც მოიცავს ავტომობილებს, სათადარიგო ნაწილებს, აქსესუარებს და ავტო სერვისს, ხასიათდება მრავალფეროვნებით და აქედან გამომდინარე, კონკურენტუნარიანობით, განსაკუთრებით ავტომობილების ნაწილში. ქვეყანაში წარმოდგენილია მრავალი ბრენდი (ოფიციალური და არაოფიციალური ფორმით) და არაერთი სერვის ცენტრი. რისკს ამცირებს ბრენდის სიძლიერე და მომხმარებლების დამოკიდებულება არა მარტო ლესუსის ავტომობილების, არამედ შოურუმში მიღებული მომსახურების მაღალი ხარისხის მიმართ. სწორედ ამიტომ მუდმივად ვისწრაფვით არსებული სტანდარტების შენარჩუნების და კიდევ უფრო დახვეწისკენ.

საკრედიტო რისკი

კომპანიის ბალანსზე 2024 წლის ბოლოს აქტივების ნაწილში ისახება ადგილობრივ კომპანიებზე გაცემული სესხები. თუ სესხის მიმღები მხარე ვერ შეძლებს მიღებული სესხის დაბრუნებას, კომპანია საკრედიტო რისკის წინაშე აღმოჩნდება. ასევე რისკს წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი. თანხობრივ გამოხატულებაში მოცემული რისკები შემდეგნაირად გამოიყურება:

	<u>2024</u>	<u>2023</u>
გაცემული სესხები	1 242 819 ლ	2 617 728 ლ
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	806 072 ლ	688 251 ლ

პოლიტიკური რისკები

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მოღვაწეობა გარკვეულწილად რისკის მატარებელია. სააღრიცხვო, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე და შესაბამისად ფინანსურ მდგომარეობაზე. ავტომობილების ბაზარი და შესაბამისად, ელ თი-ს საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან. აუცილებლად აღსანიშნავია რუსეთ-უკრაინის მიმდინარე საომარი მდგომარეობა. ვინაიდან ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მომხმარებლები ძალიან ახლოს არიან კონფლიქტურ ზონებთან, გარდაუვალია გავლენის თავიდან აცილება, იქნება ეს დადებითი თუ არყოფითი გავლენა. როგორც ფინანსური ანალიზიდან ჩანს, რუსეთზე გავრცელებულმა სანქციებმა პოზიტიურად იმოქმედა ბრუნვაზე, ვინაიდან გამოთავისუფლებული ავტომობილები გადმომისამართდა

საქართველოს ბაზარზეც და მკვეთრად გააუმჯობესა რეალიზაციის სურათი. საომარი ვითარების კიდევ უფრო დაძაბვის შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ მივიღოთ უარყოფითი ზოგადი ეკონომიკური შედეგები. ეროვნული ვალუტის გაუფასურება საკმარისი მიზეზი იქნება საიმისოდ, რომ მყიდველებში საფრთხე გამოიწვიოს და თავი შეიკავონ ავტომობილების განახლებისგან, რაც თავსითავე შეამცირებს რეალიზაციას.

ფუნქციონირების რისკი

კომპანია ყოველ წელს ანახლებს ტოიოტა კავკასიასთან დადებულ ავტორიზებული ცენტრის ხელშეკრულებას. ვალდებულები ვართ რისკად მოვიაზროთ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ლექსუსის ბრენდის ავტორიზებული სადილეროს უფლებების დაკარგვა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ლექსუს თბილისის მიერ მიღწეულ წარმატებებს, ამ რისკის წარმოშობის საფუძველი არ არსებობს.

დირექტორი: შალვა ციხელაშვილი

თარიღი: 23.09.2025

საქართველოს ბაზარზე და მკვეთრად გააუმჯობესა რეალიზაციის სურათი. საომარი ვითარების კიდევ უფრო დაძაბვის შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ მივიღოთ უარყოფითი ზოგადი ეკონომიკური შედეგები. ეროვნული ვალუტის გაუფასურება საკმარისი მიზეზი იქნება საიმისოდ, რომ მყიდველებში საფრთხე გამოიწვიოს და თავი შეიკავონ ავტომობილების განახლებისგან, რაც თავსითავე შეამცირებს რეალიზაციას.

ფუნქციონირების რისკი

კომპანია ყოველ წელს ანახლებს ტოიოტა კავკასიასთან დადებულ ავტორიზებული ცენტრის ხელშეკრულებას. ვალდებულები ვართ რისკად მოვიაზროთ კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ლექსუსის ბრენდის ავტორიზებული სადილეროს უფლებების დაკარგვა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ლექსუს თბილისის მიერ მიღწეულ წარმატებებს, ამ რისკის წარმოშობის საფუძველი არ არსებობს.

დირექტორი: შალვა ციხელაშვილი

თარიღი: 23.09.2025

